ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 104

"6" აპრილი 2015 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24–ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.ე" ქვეპუნქტის, 108-ე მუხლის, სახელმწიფო ქონების შესახებ საქართველოს კანონის 35-ე მუხლისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2015 წლის 19 მარტის № 06/2838-8 წერილის შესაბამისად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. თანხმობა მიეცეს სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ქ. თბილისში, ადგილობრივი თვითმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, (მდებარე ქ. თბილისი, სარაჯიშვილის ქ. №89, 2139,00 კვმ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდი N01.1105.027.010) სარაგბო ბაზის გაფართოვების მიზნით სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

2. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი